ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის სხდომის

ოქმი N7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 21 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. საფაკულტეტო კონფერენციის ვადებისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ;
2. ბიოფიზიკის პროგრამული კომიტეტის შექმნის შესახებ;
3. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
4. იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - საფაკულტეტო კონფერენციის ვადებისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ რადგან პირველი სემესტრის ძირითადი გამოცდები მთავრდება 2019 წლის 5 თებერვალს, მიზანშეწონილი იქნება საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 3-7 თებერვალს.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ა.შენგელაიამ. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ საფაკულტეტო კონფერენციის ფიზიკის სექციის სხდომა მიეძღვნება აკად. თ.სანაძის 90 წლის იუბილეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 24 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-8 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 2019 წლის 3-7 თებერვალს და ფიზიკის სექციის სხდომა მიეძღვნება აკად. თ.სანაძის 90 წლის იუბილეს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - ბიოფიზიკის პროგრამული კომიტეტის შექმნის შესახებ. ფაკულტეტის ხარსისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ ისაუბრა ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ ბიოლოგიის და ფიზიკის დეპარტამენტის

შემადგენლობებიდან პარიტეტულ საწყისებზე. კერძოდ, კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ: დიანა ძიძიგური, არჩილ უგულავა, თამაზ მძინარაშვილი, მანანა გორდეზიანი, ნანული კოტრიკაძე, თამარ ჭელიძე, მარიამ ხვედელიძე და ნანა შათაშვილი. ამ შემადგენლობას უნდა დაემატოს დამსაქმებელი და სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 24 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი შემადგენლობა (დანართი 1), ხოლო სრული შემადგენლობა სტუდენტის და დამსაქმებლის დასახელების შემდეგ დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულ-მა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ცვლილებები: ა) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაში (ტექნიკური ხასიათის, იხ. დანართი 2.1) და ბ)კომპიუტერული მეცნიერების ქართულ - ფრანგულ პროგრამაში, რომელშიც ჩამოთვლილ საგნებს დაემატა ალტერნატიული საგნები პროგრამიდან „კომპიუტერული მეცნიერება" 2.2 დანართში მოცემული შესაბამისობით.

გ) გარდა ამისა, ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგები. აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვით პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები (იხ. დანართი 2.3):

1. კურსებს CHEM 410A, CHEM 410B დაემატა 1 საათი სემინარი კვირაში ლექციების და ლაბორატორიული სამუშაოს მასალების უკეთესად გასაშუქებლად;
2. კურსებს CHEM 100, 201, 232, 432, 251, 560, 520 B დაემატა ერთი სემინარი კვირაში;
3. ფიზიკური ქიმიის ლექტორებს დაემატა პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე; ორგანულ ქიმიის ლექტორებს დაემატა 2 მოწვეული პროფესორი - დოქტორები თამარ ციცქიშვილი და ნანა ბარბაქაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ ცალცალკე უყარა კენჭი განხილულ საბაკალავრო პროგრამებში წარმოდგენილ ცვლილებებს (იხ. დანართები 2).

კენჭისყრის შედეგები: ა) მომხრე: 24 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0;
ბ) მომხრე: 24 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0;
გ) მომხრე: 24 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები:
ა) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაში (დანართი 2.1);
ბ) კომპიუტერული მეცნიერების ქართულ - ფრანგულ საბაკალავრო პროგრამაში (დანართი 2.2);
გ) ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში (იხ. დანართი 2.3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის სხდომის დადგენილების თანახმად, ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლიდან გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. თანხის გადანაწილება მოხდება 46 ავტორსა თუ თანაავტორს შორის. იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციების ავტორებზე გასაცემი თანხების სია იხ. დანართი 3-ში. აღნიშნული სია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემის მიზნით, ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა განისაზღვროს 2500 ლარით და დაფინანსდეს 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე თანდართული სიის შესაბამისად (იხ. დანართი 3), სულ 102,5 ათასი ლარის ოდენობით. თანხა გაცემულ იქნას ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლის ქვეპუნქტიდან „ანაზღაურება იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის".

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ა) დოქტურანტურის გადასახადის შესახებ;
ბ) სახელობითი აუდიტორიების შესახებ;
გ) საბაკალავრო, სამაგისტრო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება;
დ) ცვლილება დოქტორანტის ელენე ნიკოლაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურში;
ე) სადოქტორო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ;
ვ) სტუდენტების მოთხოვნების შესახებ;
ზ) სახელფასო საკითხების შესახებ.

5-ა. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - დოქტურანტურის გადასახადის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ დ.ლორთქიფანიძის შუამდგომლობა, რათა აღნიშნული პროგრამაზე სწავლის სემესტრული საფასური 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საქართველოს მოქალაქეებისათვის განისაზღვროს 150 ლარის ოდენობით ძირითადი 6 სემესტრისათვის, ხოლო 300 ლარის ოდენობით - ყოველი დამატებითი სემესტრისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის წინადადება დოქტურანტურის გადასახადის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის სემესტრული საფასური 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საქართველოს მოქალაქეებისათვის განისაზღვროს 150 ლარის ოდენობით ძირითადი 6 სემესტრისათვის, ხოლო 300 ლარის ოდენობით - ყოველი დამატებითი სემესტრისათვის.

5-ბ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - სახელობითი აუდიტორიების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა საბჭოს გააცნო მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტებიდან შემოსული წერილი, სადაც საუბარია აკადემიკოს ნიკო ვახანიას ღვაწლზე. აკადემიკოსი ნიკო ვახანია 35 წელი ხელმძღვანელობდა თსუ შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრას. წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. დეპარტამენტების წარმომადგენლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ თსუ მე-11 კორპუსის 318-ე აუდიტორიას ეწოდოს აკადემიკოს ნიკო ვახანიას სახელი (იხ. დანართი 4.2).
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ასევე გააცნო ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძრვანელის, პროფესორ დიანა ძიძიგურის განცხადება, სადაც იგი ითხოვს, რომ აკადემიკოს ალექსანდრე როიტბაკის სახელის უკვდავსაყოფად, მისი 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით თსუ მე-11 კორპუსის ფიზიოლოგიის კათედრის 313-ე აუდიტორიას მიენიჭოს აკადემიკოს ალექსანდრე როიტბაკის სახელი. აკად. ა.როიტბაკი სამ ათეულ წელზე მეტი მოღვაწეობდა თსუ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე (იხ. დანართი 4.3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის წინადადება, რომ თსუ მე-11 კორპუსის 318-ე აუდიტორიას მიენიჭოს აკადემიკოს ნიკო ვახანიას სახელი და ამავე კორპუსის ფიზიოლოგიის კათედრის 313-ე აუდიტორიას მიენიჭოს აკადემიკოს ალექსანდრე როიტბაკის სახელი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რათა:

- თსუ მე-11 კორპუსის 318-ე აუდიტორიას მიენიჭოს აკადემიკოს ნიკო ვახანიას სახელი;
- თსუ მე-11 კორპუსში ფიზიოლოგიის კათედრის 313-ე აუდიტორიას მიენიჭოს აკადემიკოს ალექსანდრე როიტბაკის სახელი.

5-გ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - საბაკალავრო, სამაგისტრო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარსისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ფიზიკის, ბიოლოგიის დეპარტამენტის სამაგისტრო და მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები (იხ. დანართები 4.4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი (იხ. დანართები 4.4)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები (იხ. დანართები 4.4).

5-დ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - ცვლილება დოქტორანტის ელენე ნიკოლაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურში. საბჭოს მიმართა სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგიის" ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლია მაჭავარიანმა თხოვნით, რომ დაამტკიცონ „გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ელენე ნიკოლაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურში შეტანილი ცვლილება. სათაური შემდეგნაირად ჩამოყალიბდა „ყავისფერი და რუხი–ყავისფერი ნიადაგების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება ქვემო ქართლის მაგალითზე".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დაამტკიცდეს „გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ელენე ნიკოლაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურში შეტანილი ცვლილება და სათაური შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „ყავისფერი და რუხი–ყავისფერი ნიადაგების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება ქვემო ქართლის მაგალითზე".

5-ე. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - სადოქტორო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამებს უნდა დაემატოს კვლევის მეთოდები სავალდებულო კომპონენტში. მიზანშეწონილია მომზადდეს რამოდენიმე კურსი და მათი არჩევა შესაძლებელი იყოს საერთო ჩამონათვალიდან. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად.

5-ვ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - სტუდენტების მოთხოვნების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს წევრმა სტუდენტებმა ლელა ფერაძემ და ლუკა ონიანმა გააჟღერეს სტუდენტების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მიზანშეწონილია შუალედურ გამოცდებს დაეთმოს 2 კვირა ნაცვლად ერთისა, როგორც ამჟამად არის.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, მ.ხაჩიძემ, თ.ლეჟავამ და სხვებმა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ გაიმართა სჯა-ბაასი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია (13 + 2) კვირიანი მოდელით სემესტრის დაგეგმვაც, თუმცა ეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის დროს უნდა მოხდეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად და მსჯელობა გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

5-ზ. მოისმინეს: მიმდინარე საკითხი - სიტყვა მოითხოვა პროფესორმა ო.მუკბანიანმა. მან ისაუბრა ხელფასების შესახებ. კერძოდ, შემოიტანა წინადადება, რომ ფაკულტეტის საბჭომ მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სხვადასხვა ფაკულტეტებზე ხელფასების გათანაბრების მოთხოვნით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, რ. ხომერიკმა, ო.ფურთუხიამ, ა.შენგელაიამ.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილი იქნება სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მოამზადებს წინადადებებს აღნიშნული მიმართულებით. შემდეგ საბჭოს წევრებმა დაასახელეს კანდიდატურები სხვადასხვა დეპარტამენტებიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს აღნიშნულ და სხვა საბიუჯეტო საკითხებზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საბიუჯეტო საკითხებზე შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები ნ.შათაშვილი, დ.ძიძიგური, ბ.თუთბერიძე, ო.მუკბანიანი, ო.ფურთუხია, მ.ხაჩიძე, გ.ბრეგვაძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

მდივანი, ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი